


საქსი




გამოცემის 47-ე წელი ფასი 20 კპვ.

ნ.ს. პ. ფირცხალავანი



1970

— აი, კოლიკაგოვიჩი, თქვენ რომ მეუბნებით, უხერხემლო ხართ!..



ნახ. ჯ. ლოლუასი



— აბა, ჩქარა ჩამოდი ორთქლავალიდან! ჩემი ლატარიის ბილეთის ნომერი და სერია დაგეტყვება!

ნომერი, რა გასკინებთ?

ამას წინათ, სამუშაო დღე რომ დამთავრდა, ჩვეულებრივ, ავტობუსში ავედი. შიგ ხალხი, რა თქმა უნდა, ზომავზე მეტი იყო და ეს არც არავის აკვირვებდა. საკვირველი კი, აი, რა მოხდა: იქვე, სადაც მე ვიდექი, ორი ქალი იჯდა. შესახედავად ჩვეულებრივი ქალები იყვნენ, შეიძლება ითქვას, ტიპური ქართველები: არც ცხვირის ოპერაცია ჰქონდათ გაკეთებული და... არც ენისა. იმ ასაკში იყვნენ, როცა უექსპერტოდ შეუძლებელია ხნოვანების დადგენა. ისხდნენ ეს არცთუ ისე შესანიშნავი ქალები და საუბრობდნენ თავისთავს. ვიცი, რომ სხვისი საუბრის მოსმენა არაა კარგი და არც ვუსმენდი. მაგრამ, უნებლიეთ, ისეთ რაღაცას მოვკარი ყური, რომ სმენად ვიქეცი. ჭერ ვიფიქრე, სწორად ვერ გავიგონე-მეთქი, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ სმენას არ უღალატნია.

— უჰ, თექვსმეტი ძალიან ბევრია, რას ამბობ! — ეუბნებოდა ერთი მეორეს.

— ბევრი კია, ჩემო ნუნუ, მაგრამ ისეთი კარგები არიან, ისეთი, რომ დაღლა სულ გავიწყდება იმათ შემყურეს. — პასუხობდა მეორე პირველს.

— ბიჭი რამდენი გყავს, ციალა? — ისევ ეკითხება ნუნუ.

— ცხრა ბიჭი და შვიდი გოგო. ტყუპებიც მყავს, გოგო-ბიჭი, ისეთი კარგები არიან, ვერ გარჩევ, რომელია გოგო და რომელი ბიჭი. — ისევ ისე მშვიდად პასუხობს ციალა.

კაცები ცნობისმოყვარეები არ არიანო, ეგ არავინ გამაგონოს! კინაღამ გავიღული კაცი, ერთი სული მქონდა, სანამ იმ ქალების ვინაობას გავიგებდი. ეს კია, რომ კაცური თავდაჭერილობა ერთხანს მაკავებდა. ისინი კი, ვითომც არაფერი იყო, განაგრძობდნენ საუბარს:

— ჰო, მე თერთმეტი მყავს, ექვსი გოგო და ხუთი ბიჭი, მაგრამ ძალიან ცელქები არიან, ისე ვიღლები, ისე, რომ

მეტს ველარაფერს ვაკეთებ. სახლში კი, ხომ იცი, რამდენი საქმეა?

— ეჰ, სახლში საქმეს რა გამოიღვეს, ჩემო ციალა!

არ ვიცი, მომეჩვენა თუ მართლა მიხვდნენ, რომ იმათ საუბარს ვუსმენდი, რაღაც უხერხულად შემომხედეს და მერე ოდნავ ხმადაბლა განაგრძეს:

— ნუნუ, მოდი ერთი, შემოიარე ჩემთან, რახანია, ჩემი პატარები აღარ ვინახავს.

— იცი რა, ციალა? ჭერ შენ გვინახულე და...

აქ კი ველარ მოვიტონე, დავივიწყე ყოველგვარი თავაზიანობა და ჭიქურ ვახალე:

— რა გვარი ბრძანდებით, ქალბატონო?

ორივემ გაკვირვებით შემომხედა. ერთმა მაშინვე განზე გაიხედა. მეორემ კი მშრალად მომიგო:

— თქვენ რატომ გვეკითხებით?

მე მხოლოდ ახლა გამახსენდა, რომ ასეთ დროს საჭიროა თავაზიანობა და, რაც შემეძლო, დავიშაქრე.

ამან გაჭრა და ერთმა ადამიანურად შემხედა, თუმცა მეორე ჭიუტად იცქირებოდა განზე. კიდევ ორიოდე თავაზიანი კითხვაც და ქალმა ღიმილით მიპასუხა:

— რას ბრძანებთ? რა არის აქ გასაკვირი?! ჩვენ საბავშვო ბაღში აღმზრდელებად ვმუშაობთ და ახლა სწორედ ჩვენს აღსაზრდელებზე ვსაუბრობდით, ისე კი... მე ერთი შვილი მყავს, თორმეტი წლის გოგო, ჩემს მეგობარსაც — ერთი ბიჭი.

— ჰოო,— გავაგრძელე გაწბილებულმა.

— ჰო, — ეკლუცად მომიჭრა იმ ქალმა, მერე თავის მეგობარს რაღაც გაღაუღაპარაკა და ორივემ სიცილი ატეხა.

ნეტა, რა გაცინებთ?! — მწარედ გავივლე გულში.

ჯურაბ რაბინი.

გასაუბრება სოხუმის ვალუონით

ბევრი მქონდა მეგობართან სათქმელი და სავალალო, მეც ყურმილი ავიღე და შიგ ჩავძახე: ალ ო! ალ ო!..

— ალ ო! ალ ო!..

— ტ უ, ტ უ, ტ უ, ტ უ... ხმას სინაზე აღარ ამკობს. ეს რა მესმის — ჩემს ელსმენში ათი კაცი ლაპარაკობს. ზოგი ნაცნობს საყვედურობს, ზოგი უცნობს ეფერება, ზოგი სტვენს და ზოგიც მღერის, მე კი სულ არ მემდერება! კვლავ ვდებ ყურმილს, ახალ ნომერს ვკრეფ და გაჭრა დეღვა მალე: — ალ ო!

— გისმენთ რესტორანი! რა გნებავდათ, გენაცვალე?! საოცრება!..

ეჰ, მორიგეს საყვედური უნდა ვუთხრა: — საქალაქთაშორისოა? — მე განლაგართ, გუდაუთა! — საქხილდამზადების ტრესტში რა გინდოდა დილით, ძია? — ალ ო!

— გე ს მ ი თ?

ტ უ, ტ უ, ტ უ, ტ უ... — ლაპარაკობს მილიცია! დავიღალე, უცხო ხმებიც გულს მოედო უცხო დარდად და ყურმილიც, უნებლიედ, მე ხელიდან გამივარდა...

ეთერ სამხარაკამ-ჯღამბაძე

„ნიანბის“ ლექსიკონი

მლიქვნელობა — ადამიანის გაღმერთება მისი გამოყენების მიზნით.

კაბინეტი — ხელქვეითთაგან და მთხოვნელთაგან იზოლაციის საშუალება.

ალიმენტი — უღლეური ცოლქმრობის უკანასკნელი ნაშთი.

დაქვეითება — უეცარი დაწინაურების შედეგი.

გულმავიწყობა — ერთადერთი თვისება, რომელსაც აფასებს ცუდი ხელქვეითი კარგ უფროსში.

კარიერისტი — პიროვნება, რომელიც უფროსებისადმი გულისხმიერებას ხელქვეითების უგულვებელყოფით ცვლის.

იმედი — ერთადერთი რამ, რაც გამოცდაზე გასვლის წინ გააჩნია უცოდინარ სტუდენტს.

სიზარმაცე — ქრონიკული დაავადება. მხოლოდ შრომა ჰკურნავს.

კრიტიკა — ინტრიგა (ზოგიერთი ხელმძღვანელის გაგებით).

გამოცდა — ლექტორისა და სტუდენტის დუელი.

მოდუნება — უმოქმედობით გამოწვეული დაღლილობა.


ეჭვი — ნდობის დაკარგვის დასაწყისი.

ბაზარი — ნებაყოფლობითი ძარცვის ადგილი.

გაჭირვება — მტერ-მოყვრის გარჩევის საშუალება.

სასაფლაო — ადგილი, სადაც ადამიანები საბოლოოდ ურიგდებიან ერთმანეთს.

შეადგინა ალმაზორ თაყაძემ



ნახ. ჯ. ლოტუნაძის ნახ. ზ. ლოტუნაძის

— ამ გოლო დროს კალიან გაკვირდა თაფლი!
— რაც ჩვენა უზბრკმბა კონბრმმბა დაციყმს სიარული, გაკვირდება, აბა რა იმბბა?

ავტობიოგრაფია

მრთ კულტურულ დაწესებულებას ახალი დირექტორი დაუნიშნეს. იმ დღესვე ნაღმივით იფეთქა ცნობამ: ახალი დირექტორი ყველა თანამშრომლისაგან საკუთარი ხელით დაწერილ ავტობიოგრაფიას ითხოვს. მსგავსი რამ არც ერთ დირექტორს არ მოუთხოვია ადრე. თანამშრომლები სათათბიროდ შეიკრიბნენ.

— ალბათ, ჩვენი კალიგრაფია აინტერესებს, მოსე მწერლად სურს გაგვიხადოს ვინმე.

— აზრი გამოთქვა დირექტორის მოადგილემ.

— მაშინ „წითელქუდას“ ან „ქაჯანას“ მოგვცემდა გადასაწერად, ავტობიოგრაფია რა შუაშია? — შეედავა მეორე მოადგილე.

— იქნებ, ჩვენი ხელწერა სურს ნიმუშად ჰქონდეს, ანონიმის დამწერის აღმოსაჩენად? — იკითხა მესამე მოადგილემ.

— მაგდენი კი ეცოდინება, რომ ანონიმას ან მარცხენა ხელით წერენ, ან სხვას აწერიან.

— არა, აქ რაღაც სხვა ამბავია... — დაასკვნა კულტურის განყოფილების გამგემ და სადილად, ჩვეულებრივზე ერთი საათით ადრე წავიდა სახლში.

როცა სადილის მესამედ მიმატება აღარ მოუთხოვია, მისი ყურადღებანი ცოლი მისვდა, რომ ქმარს ჭამის მადა დაეკარგა.

— არა, აქ რაღაც სხვა ამბავია!.. — აღმოხდა ცოლს.

— მეც ვგრე ვთქვი წელან, ანეტა! მაშ, რაში დაჭირდა ჩვენი ავტობიოგრაფიები? — ლუკმასაგით გამოსტაცა ცოლს აზრი კულტურის განყოფილების გამგემ.

— ვის დაჭირდა შენი ავტობიოგრაფია, კოკო? — გაუკვირდა ცოლს.

— ჩვენი ახალ დირექტორს, ვაჟა-ფშაველა ვყავარ...

— ტუტუცი ყოფილა! ქრთამი რომ მოუთხოვა, კიდევ მესმის. შენი ღარბი ავტობიოგრაფიით უნდა დააპუროს ცოლ-შვილი?

— როგორც ჩანს, არც თავის ცოლ-შვილზე უიქრობს ეგ კაცი და არც სხვებისაზე...

— კი მაგრამ, რად უნდა, ნეტავი, ეგ ავტობიოგრაფიები? რა თავში იხლის?

— რა იცი, გულში რა აქვს? სად უმიზნებს? ოკ, რამდენ წერა-კითხვის უცოდინარს აციებს და აცხვლებს ახლა ჩვენთან! არ დაფერხნავს იმ ხალხს?

— შენ ხელს ვერ გახლებს! — იკვირა ანეტამ და თვალები ისე დააბრიალა, არათუ ახალს, ძველ დირექტორებსაც შეეშინდებოდათ მისი.

— რატომ ვერ მახლებს ვითომ ხელს? მეჯვარეა ჩემი თუ მამიდაშვილი?

— ამ ხნის კაცს რა სინდისით უნდა მოგთხოვოს ცოდნა და განათლება? სად ისწავლი ახლა შენ წერა-კითხვას, სად? — ბრახობდა კულტურის განყოფილების გამგის მეუღლე.

ქმარმა მოწოლილ ბოდმას ვედარ გაუძლო, ლოჯიას სარკმელი გამოაღო და გასურბული შუბლი წიავს მიუშვირა.

— ერთი ბეწო ტყინი გაქვს და იმასაც ქარს ნუ გაატან, რაღაცა მოვიფიქროთ! — სარკმელი მიუსურა ცოლმა.

— რაღა უნდა მოვიფიქროთ? გადაწყვეტილი ამბავია, ხვალიდან ვათავისუფლებული ვარ სამსახურიდან!.. ოო, რამდენი გამოწყვება უკან, რამდენი!.. — მკერდზე მჯიღს იცემდა კულტურის განყოფილების გამგე, — მაშ, რა გეგონათ, როდემდე შერჩებოდით მაგ ადგილებს, როდემდე?!

— ყველა თავის გზას მონახავს, შენ შენს თავზე იფიქრე! — ურჩია ცოლმა.

იმ დღემს ორივემ ბევრი იფიქრა: ქმარი ადგილს მისტიროდა, ცოლი — შემოსავალს...

მეორე დღეს, კოკო სამსახურში რომ მიდიოდა, მუხლები ეკცებოდა. ადვილი ხომ არ იყო ასეთი სამსახურის დაკარგვა და ჩარხთან ღამის ტეხვა? დირექტორი კი... დირექტორს რა ენაღვლებოდა? რა იცოდა, რა ცეცხლი ენთო მისი თანამშრომლების გულში? იმ საღამოსვე ხელთ ჰქონდა ყველას ავტობიოგრაფია. ქართული ენის მცოდნე მოიყვანა და მას წააკითხა. დირექტორის სინარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა თითოგვერდიან ავტობიოგრაფიაში ცხრა-ათი შეცდომა დაუშვა უმრავლესობამ. მეორე დღესვე შეჰყარა ყველა და სათითაოდ ჩამოართვა ხელი. ახლა მშვიდად შეეძლო ჯდომა თავის საფარქელში. დაწესებულებაში კაცი არ ჩანდა, ვინც მასზე უკეთესად იცოდა წერა-კითხვა, ვინც მის მტრურობას შეძლებდა!..

გიგა მახვილაძე



ნახ. მ. აბაშიძის

რადგან ზომიერტი გავფი მიინცდამინც არ იკლავს თავს სწავლით და მთელ დღეს ტელევიზორთან ატარებს, „ნიანბი“ ბთავაზრობთ სწავლების ახალ მეთოდს.



ნ.ბ. დ. ზარაფიშვილისა



— რა აწუხებდა ამ ავადმყოფს?
— ასი მანეთი აწუხებდა და კიდევაც მოაცილა მეიშმა.

ლუ-ლუ-ლუ-ლუ-ლუუუ!

ამ ფელეტონს ჩვენი ცენტრალური გათბობის შესახებ ვწერ. რად მინდა? როგორ ვერ მიმიხვდით?!

გასული წლის მარტის დამდეგს ჩემს ბინაზე ამოხლართულ გათბობის მიღში უანგმა თავისი გაიტანა: ატმოსფერულმა მაღალმა წნევამ მიღს ნემსის სიმსხო წერტილი დაუსვა და მდულარე წყლის მიკროზადრეგანმა ზედ ჩემს საწოლზე გადმოასხა. ღრმა ძილი ვიცი, მაგრამ ოთხმოცწარულსიანი სითხე მკვდარსაკვი გააღვიძებს...

წამოვხტი, ვეცი, ვეკვეთე, კანაფი მოვუჭირე, თოკი დავგრიხე, ვედრო შევუდგი და გათენებას დაველოდე. გათენდა. ტელეფონის დისკო დავატრიალე, ავუსენი ჩემი გაჭირვება ვილაკა მინაზებულ ასულს. ხელოსანი ავარიზება და, გამოჩნდება თუ არა, შევაკეთებთო, მიპასუხა მან. ორ კვირას ვუცადე ავარიზე წასულ ხელოსანს და ისევ დავრეკე. ჩვენ მაგის შესახებ არაფერი ვიცოდით, როგორ გეკადრებათო, მიპასუხა იმავე ქალმა, ახლა უკვე ჩახლეჩილი ხმით. ჩემი ფეხით მივედი საქვაბეში, ავხტი, დავხტი, ვიყვირე, ვიკივლე, ვიჩივლე... რას გვაშინებო, შემომიტიეს და ხელოსანი გამომაყოლეს. მან ხუთ წუთში მიაღწა მიღს მავთულის ნაჭერი და წავიდა.

ის იყო, გამარჯვება უნდა მეზეიმნა, რომ ახალი, უცნაური შხუილი შემომესმა. გავვარდი საძილე ოთახში და რას ვხედავ! კედელი იშლებოდა, ბათქაში იხვრიტება ავტომატურად და იატაკზე გაჯნარევი ლევა მოიზღაზნებოდა. ახლა კედლის მხრიდან გახვრეტილიყო იგივე მილი, სხვა ადგილას, სხვა ზომაზე, სხვა ყაიდაზე...

სამ კვირას ვრეკავდი ტელეფონით... სამ კვირას ვიდექით მე და ჩემი ცოლი მილიდან გადმონადენი წყლის ვედროთი გატანის გმირულ ვახტზე და... ისევ საქვაბეში სიარული, ახტომა, დახტომა, ყვირილი, კივილი, ჩივილი და ხუთწუთიანი შედუღება...

მერე უცნაური ნერვული სიზმარი დამჩემდა. ძილში მეღანდებოდა, რომ ჩემი საწერი მაგიდა გემად არის გადაკეთებული, ცხელ, ოხშივრიან ზღვაში მიცურავს, მე მაგიდაზე ვზივარ და ამ გემის ორთქლსადენი მილი ვარ...

ეს სიზმარი, პირველად, გასული წლის მარტის დასასრულამდე ამიხდა. დილით ჩემს მისაღებ ოთახში ბათქაში ახელილი მდინარე დამიხვდა. წყალი ჭერიდან ჩამოდიოდა. სხვენზე ავიჩახე. გათბობის სისტემის ჰაერსაშვებს, სახურავზე გამავალი დაუხანგული მილი მოგლეჯოდა და მოშლილი ონკანის სახრახნიდან წყალი მოჩქეფდა...

ახლა უკვე მაღალ დონეზე დავრეკე: საქვაბეების უფროსს — სერგო გიორგაძეს შევატყობინე ჩემი გაჭირვება. ძველ ამბებზეც ვუსაყვედურე და ამდენმა საჩივარმა ერთად ისე იმოქმედა, რომ ხელოსანი მეორე დღესვე გაჩნდა ჩემი ბინის სხვენზე. მან წყალი გადაკეტა და დაზიანებული ჰაერსაშვებისა და სახრახნის შეკეთებას მეორე დღისათვის შემპირდა.

გავიდა მარტი, აპრილი, მაისი... ზაფხული, შემოდგომის ნახევარი და მე კვლავ ვნახე სიზმარი: ვითომ გემად გადაქცეული ჩემი საწერი მაგიდის საკვამლე მილი ვიყავი და ყელმოღერებული ვციოდი:

— ღუ-ღუ-ღუ-ღუ-ღუუუუ!..
გამომეღვიძა. ჩემს მისაღებ ოთახში ისევ მოჩქეფდა წყალი ჭერიდან.

ახლა, პატივცემულო მკითხველო, ისეთ აპარატს ვნატრობ, რომლითაც კაცს კაცისათვის ტელეფონით ხელწერილის ჩამორთმევა შეეძლება, რათა საქვაბეების უფროსმა — სერგო გიორგაძემ და ჩემი საქვაბის ინჟინერმა — მირიან ბათიაშვილმა კვლავ არ მითხრან:

— როდის დავვირეკე, პატივცემულო, როგორ გეკადრებათ!

„რამ დრო გადის, ახალ-ახალი მეცნიერება ყალიბდება, მატრიკულშიც საგნების რიცხვი მატულობს. მე რა მიჭირს, 2000 წელს ნახეთ სტუდენტების სარეცხივით გაწურვა. მაშინ სტუდენტების დაბალი ცოდნის ეტალონი იქნება: „ამ სტუდენტმა კვანტური თეორია არ იცისო!“ „თვითმფრინავს ვერ აფრენსო“, „მხოლოდ ექვსი ცოლი გამოიცვალაო“.

არა, ახლაც ხომ გვხვდებიან დაბალი ცოდნის სტუდენტები? ზოგმა არ იცის, რამდენი რესპუბლიკაა ამიერკავკასიაში, რა არის დედაქალაქი, მართლა შოთა რუსთაველმა დაწერა თუ სხვამ დაუწერა „ფეხისტყუასანი“.

მე რა მიჭირს! 2000 წელს სტუდენტები პრაქტიკას მთვარეზე გაივლიან... მთვარიდან ლიმიტით მოეწყობიან ინსტიტუტში. იუპიტერიდან აბითურიენტებს უკონკურსოდ ჩარიცხავენ. დედა, დედა, რა ამბავი იქნება ჩაწერაზე! ვაი იმისი ბრალი, ვინც სამედიცინოს დაამთავრებს და მთვარეზე გაანაწილებენ მთვარეულების სამკურნალოდ.


მე რა მიჭირს, აგერ ვზივარ ნაქირავებ ოთახში და ლექტორის გენიალოგიას ვიკვლევ გამოცდებთან დაკავშირებით. მე რა მიჭირს, მყაქს ბიოლოგიურად და ეკონომიურად ჩამოყალიბებული დედ-მამა, რომლებსთვისაც ვარ იულიუს კეისარი. ვაი, იმ სტუდენტის ბრალი, 2000 წელს, ლექტორის მაგიერ, გამოცდებს ტვინიანობის გამაზომ აპარატებს რომ ჩააბარებს! რობოტ დედ-მამებს სტუდენტები შეფად ეყოლებათ აყვანილი.

მე რა მიჭირს, აგერ სოფლიდან გამოგზავნილ შემწვარ წიწილს, თბილ-თბილ მჭადს, ხაჭაპურსა და გაუკეთებელ ღვინოს ვსვამ.

2000 წელს სტუდენტი დაპასტავებულ ქათამსა და ინდაურს გამოსწუწის ტიუბიკიდან.

მე რა მიჭირს, ხვალ-ხვალზევით დავამთავრებ (ღმერთო გამახსენე რა ჰქვია ჩემს ფაკულტეტს?) და მამულს გამოვადგები“.

იპოვნა კოთანდილ კლიუვილი



სამი შეკითხვა „ნიანგს“

ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!



ნიანგის
გამომცემი

მთავარი
რედაქტორი
ნოდარ ღუმაბაძე

სარედაქციო
კოლეგია:

წ. გოლჭვაძე
(პ/მ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მაღალაშვილი,
ბ. ნიშნიანიძე,
(მთავ. რედ.
მკვლევარი),
ნ. შველიძე,
ო. ჭაჭავაძე.

საბირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

თბილისი, სატირიკო-
იუმორისტический
журнал «Ниянги».
ტელ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მთავარი
93-49-32.

საერთო განყოფილების
93-10-78.

სამ. კვ ცკ-ის გამომცემ-
ლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცემა ასაწყობად
26/1-70 წ.

ხელმოწერილია დასა-
ბამად 26/11-70 წ.

ქალაქის ზომა
70x108¹/₈.

ფიზიკური ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1,

პრობონი ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1,4.

სამ. კვ ცკ-ის გამომცემ-
ლობის სტამბა,

თბილისი, ლენინის ქ.
№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА
ЦК КП ГРУЗИИ

ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-
НА № 14

შეკვ. № 280.

შეკვ. № 01964.

ბირაჟი 1 300.



შეკითხვა პირველი:
ვმუშაობ გამყიდველად. ჩვე-
ნი მაღაზიის წინ სხვადასხვა
მარშრუტის ავტობუსების
გაჩერებაა. რადგანაც აქ სა-
დისპეტჩერო არ არის, მგზავ-
რები მე შეკითხვიან ავტო-
ბუსების განრიგის შესახებ
(პასუხის გაცემაში
კი საკმაოდ დრო მე-
კარგება). ბევრი რომ არ
გავაგრძელო, ფაქტიურად
ორ მოვალეობას ვასრულებ.

გთხოვთ, მიპასუ-
ხოთ: მეკუთვნის თუ არა
(დამატებით) დისპეტჩერის
ხელფასიც. თუ მეკუთვნის,
ვინ უნდა მომცეს?

შეკითხვა მეორე: ჩემი
სახლიდან, აღნიშნული მაღა-
ზიის მიმართულებით, დიდის
ტროლეიბუსი და ავტობუსი.
ავტობუსის ბილეთი 5 კაპიკი
ღირს... ეკონომიის მიზნით,
დავდივარ ტროლეიბუსით,

მაგრამ, 4 კაპიკის ნაცვლად,
კონდუქტორი 5 კაპიკს მახ-
დევინებს („ხურდის უქონ-
ლობის“ გამო). 1969 წელს
ზედმეტად აღებულმა თანხამ
7 მან. და 24 კაპ. შეადგინა.

მაქვს თუ არა უფლება,
მოვითხოვო ეს ზედმეტად
აღებული თანხა. თუ ამის
უფლება არა მაქვს, მიშუამ-
დგომლეთ, რათა 1970 წელს,
„ხურდის უქონლობის“ გა-
მო, 5 კაპიკის ნაცვლად, 3
კაპიკი გადავიხადო!

ბ. აბაშელი,
ქ. ქუთაისი.

შეკითხვა მესამე: ზღვის
პირას სეირნობის დროს
„სპასატელი“ გადავარ-
ჩინე დახრჩობას.

შემიძლია თუ არა, მის მა-
გივრად დავიწყო მუშაობა?

აპთანდილ ჩაჩუა,
ქ. რუსთავი.

ნ.ს. მ. აბაშვილისა



ჩემი შვილი — თეიმურაზი VII
კლასის მოსწავლეა. მთელ კლას-
ში ორად-ორი სახელმძღვანელოა
საქართველოს ისტორიისა, ამი-
ტომ, ისტორიის ყოველი გაკვეთი-
ლის წინ მიხდება მანქანით მი-
კითხვა ჩემს მეგობარ შოთასთან,
რომელიც ცხოვრობს საბურთალოს
ბოლოში და რომლის ბიჭიც ჩემს
ბიჭთან ერთად არის კლასში.

— შოთა, მოვედი, ძმაო, ისევე
ისტორიის წიგნზე! — მოუბოდი-
შებ სოლომე.

— თი, შენ გენაცვალე მოსვლა-
ში! ოთარ, ცხელი ჭაღი, ქოთნის
ლობო და ჩემი დაწურული ღვი-
ნო მაქვს. მოდი, თითო ჭიქა დავ-
ლიოთ და მერეც კი მოასწრებს
შენი ბიჭი გაკვეთილის სწავლას!

რას ვიზამდი, დავჯექი და გსვი
საქართველოს სადღეგრძელო იქა-
მდე, მანამ წიგნიც არ დამეფიქდა
და ჩემი მეგობარი შოთას სახე-
ლიც. შუადამით მოვედი სახლში,
მაგრამ, ვაი, ამ მოსვლას! ცოლი
დამიხვდა კარებში, ბუგრიბოვა
რომ შედის ლომებთან გალიაში,
იმ ბოზაში.

— სადაა წიგნი?
— რა წიგნი, გენაცვალე? —
უცებ ვერც მივხვდი.

— რა და, საჩივრის წიგნი! არ
გახსოვს, რა წიგნზე წახვედი შო-
თასთან? — კრუნდელივით შემოი-
ღო ხელები თეძოებზე ლაღიმ.

— ხო, გამახსენდა. ის წიგნი
მანანას ჰქონდა წაღებული. მერე
ვიას უნდა ესწავლა, მერე — კა-
კოს... მე რიგში ვიდექი, თითო ჭი-
ქა დავლიოთ მე და შოთამ, რა
მოხდა მერე?! — ვიმართლე თა-
ვი.

— რა მოხდა და, ხვალ ბავშვი
გაკვეთილსწავლედი უნდა წაი-
დეს სკოლაში, ხომ?

— მერე რა ჩემი ბრალია? მე
ხომ არ დავბეჭდავ სახელმძღვანე-
ლოებს? აიღოს და გადაწეროს ყო-
ველი გაკვეთილი. ხომ წერდნენ
ჩვენი წინაპრები ჩვენს ლიტერა-
ტურულ შედეგებს? შენ არ გა-
გიგონია, რამდენს გადაუწერია
„ვეფხისტყაოსანი“? პოდა, რა მო-
ხდა? 6-7 გვერდი ვერ უნდა გა-
დაწეროს მოსწავლემ? მერე გვეჭ-
ნება ხელნაწერი საქართველოს
ისტორიის სახელმძღვანელო. ამას
რა სჯობია?

მეორე დღეს შოთამ, დიდი ბო-
ლიმის მოხდით, მოგვიტანა სახელ-
მძღვანელო და გაბრუნებას აპი-
რებდა.

— აა, არ მოგიკვდეს ჩემი თავი,
მე შენ ახლა ისე არ გაგიშვა, თჯა-
ხი არ დამილოცო! — ვეცი მკლა-
ვში და სახლში შემოვავდე. დატ-
რიალდა ჩემი ლალი, აბა რას იზამ-
და? სტუმარი ღვთისა! დავურე-
კეთ ჩვენს მეგობარ ნოდარის და
კიდევ ორ ამხანაგს... შეიქნა სმა-
ჭამა; საქართველოს ისტორიის სა-
ხელმძღვანელოში რაც ჩვენი სა-
ხელოვანი წინაპრებია მოხსენიე-
ბული, სათათაოდ ვაღდებრძე-
ლეთ...

ასე დავდივართ კვირაში ორ-
ჯერ, ხან შოთა და ხან მე იქით-
აქით ისტორიის სახელმძღვანე-
ლოსთვის. ხან მე ვუშვებ ნასვამს
და ხან ის მიშვებს. ცოლები ასკ-
დებიან გულს, მაგრამ რას იზა-
მენ? მიზეზი საქართველოს ისტო-
რიის სახელმძღვანელო და ჩვენი
ქართული სტუმართმოყვარეობაა.
ორივე მიზეზი საპატიოა. თქვენ
ხარ იტყვიოთ!

— ახალი უფროსი მოვიდა!

თინა შორჭოლიანი



КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

1
1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ხანძრის ჩაქრობა დელისში.